

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება უსდ-ის და ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ორიენტირებულია „საინჟინრო ლოგისტიკის“ ბაკალავრის მომზადებაზე, რომელიც წვლილს შეიტანს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:
მიზანი 1. წარმოებაში ლოგისტიკის ძირითადი-პრინციპების დანერგვაში;
მიზანი 2. შიგასაწარმოო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმარებაში;
მიზანი 3. ლოგისტიკური პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების მოძიებაში;
მიზანი 4. სატრანსპორტო და ლოგისტიკური სისტემების დაგეგმარებასა და ოპერირებაში;
მიზანი 5. სასაწყობო სისტემების დაგეგმარებასა და პროექტის მენეჯმენტში;
მიზანი 6. სასაწყობო და სადისტრიბუციო ცენტრების ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების შეგროვებასა და სიტუაციების ანალიზში;
მიზანი 7. ინვესტიციებისა და საოპერაციო დანახარჯების კალკულაციაში;
მიზანი 8. ლოგისტიკური პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

აღწერს ლოგისტიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სისტემებს, წარმოაჩენს სტატისტიკური აღრიცხვის ელემენტებს, სტატისტიკური მონაცემების მათემატიკური დამუშავების და ამ ინფორმაციის მენეჯმენტში გამოყენების უახლეს ასპექტებს;
აკავშირებს ლოგისტიკური სისტემების აპრობირებულ და პრაქტიკაში გამოყენებულ ზოგიერთ გამორჩეულ მეთოდებს საწარმოს (ფირმის) კონკრეტული საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის;
განიხილავს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის დადგენილებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელების ტექნოლოგიებს;
ახსნის წარმოებისა და სატრანსპორტო ლოგისტიკის, ასევე მომსახურების სხვადასხვა სფეროებში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს და შესაბამისი ტექნოლოგიების იმპლემენტაციის ხერხებს;
ჩამოთვლის ტვირთების, ტვირთის დამუშავებისა და სასაწყობო სისტემების, ინტერმოდალური ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ლოგისტიკაში სამართლებრივი საკითხების მიმართულებით ლოგისტიკის სფეროსათვის დამახასიათებელ მონაცემებს.
პრაქტიკაში **გამოიყენებს** სამუშაო მიზნების მისაღწევად ლოგისტიკაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ავტომატიზირებული სისტემების რესურსებს ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად;
აგროვებს ლოგისტიკური სისტემებისა და ქსელების, ლოგისტიკური ოპერაციების წარმოებისა და მართვის, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისა და ლოგისტიკის კონტროლინგის სისტემების კომპლექსური საკითხების შესახებ მონაცემებს;
აანალიზებს ლოგისტიკის სფეროში არსებული სპეციფიკური პრობლემების გადაჭრის ალტერნატიულ გზების შესაძლებლობებს, ამზადებს წერილობით ანგარიშს მიღებული შედეგების შესახებ და გადასცემს ინფორმაციას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს ქართულ და გერმანულ ენებზე;
იყენებს ლოგისტიკის სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გარემოში.
აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს თანმიმდევრულად და მრავალმხრივად, დაადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს. ხელს უწყობს საინჟინრო ლოგისტიკის სფეროში წარმოების პროცესების უსაფრთხოდ წარმართვას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX -ის მიღების შემთხვევაში სტუ ნიშნავს დამატებითი გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 30 ქულისა). შუასემესტრული გამოცდისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესის“ და „საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესის“ შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	მათემატიკა 1.1	5
2	ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის საფუძვლები	5
3	საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლები	5
4	ბიზნესის საფუძვლები	5
5	არჩევითი კურსები უცხოური ენა 1	
5.1	ინგლისური ენა 1	5
5.2	გერმანული ენა 2	
5.3	ფრანგული ენა 3	
5.4	რუსული ენა 4	
6	ტექნიკური საფუძვლები 1 (რხევები, სიმტკიცე, ჰიდრაულიკა, ხახუნი; მასალათმცოდნეობა)	5

7	ტექნიკური საფუძვლები 2(მანქანებისა და მექანიზმების დაგეგმარება; ელექტრობა)	5
8	კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიები ლოგისტიკაში	5
9	მათემატიკა 2.1	5
10	საბუღალტრო აღრიცხვა	5
11	მენეჯერული მუშაობის მეთოდების საფუძვლები	5
12	არჩევითი კურსები უცხოური ენა 2	
12.1	ინგლისური ენა 2	5
12.2	გერმანული ენა 2	
12.3	ფრანგული ენა 2	
12.4	რუსული ენა 2	
13	სტატისტიკის ზოგადი თეორია (სტატისტიკა)	5
14	მონაცემთა ბაზები	5
15	მატერიალური ნაკადების ტექნიკის საფუძვლები	5
16	სასაწყობო სისტემების დაგეგმარება ¹	5
17	ტელემატიკა ლოგისტიკაში	5
18	არჩევითი კურსები უცხოური ენა 3	
18.1	ინგლისური ენა 3	5
18.2	გერმანული ენა 3	
18.3	ფრანგული ენა 3	
18.4	რუსული ენა 3	
19	წარმოების ლოგისტიკა (Produktionslogistik)* ¹	5
20	პრაქტიკული პროექტი უნივერსიტეტში (პრაქტიკა)	5
21	პრაქტიკა 1(ლოგისტიკა წარმოებაში)	12
22	არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები	
22.1	ფილოსოფიის საფუძვლები	3
22.2	შესავალი ფსიქოლოგიაში	
22.3	საქართველოს ისტორია	
22.4	სოციოლოგიის შესავალი	
22.5	კულტუროლოგია	
22.6	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	
22.7	პოლიტიკის საფუძვლები	
23	არჩევითი კურსები უცხოური ენა 4	
23.1	ინგლისური ენა 4	5
23.2	გერმანული ენა 4	

¹ * იკითხება ქართულ და გერმანულ ენებზე

23.3	ფრანგული ენა 4	
23.4	რუსული ენა 4	
24	Grundlagen der Translogistik (სატრანსპორტო ლოგისტიკის საფუძვლები)*	5
25	სასაწყობო სისტემების დაგეგმარება 2	5
26	Wirtschaft und Makrologistik (ეკონომიკა და მაკროლოგისტიკა)*	5
27	საწარმოს რესურსების დაგეგმვა 1	5
28	ტექნიკური სისტემების სფეციფიკაციები	5
29	გერმანული ლოგისტიკისათვის 1	5
30	Logistikmanagement und Controlling (ლოგისტიკის მენეჯმენტი და კონტროლინგი)*	5
31	საწარმოს რესურსების დაგეგმვა 2	5
32	Intermodale Transportnetze (ინტერმოდალური სატრანსპორტო ქსელები)*	5
33	გერმანული ლოგისტიკისათვის 2	5
34	სამართლებლივი საკითხები ლოგისტიკისათვის Rechtsfragen für Logistiker**2	5
35	ხარისხის მენეჯმენტი	5
36	სატრანსპორტო სისტემების მოდელირება და სიმულაცია	5
37	საავიაციო ტექნიკა და საავიაციო სატვირთო გადაზიდვები	5
38	ტრანსპორტის, ტვირთის დამუშავებისა და საწყობის სისტემები 1 Systeme von Transport, Güterbearbeitung und Lager1**	5
39	გერმანული ლოგისტიკისათვის 3	5
40	პრაქტიკა 2	10
41	ტრანსპორტის, ტვირთის დამუშავებისა და საწყობის სისტემები 2 Systeme von Transport, Güterbearbeitung und Lager2**	5
42.1	ინფრასტრუქტურის დაგეგმარების საფუძვლები	4
42.2	ინტერკულტურული მენეჯმენტი	
43	თავისუფალი კომპონენტები	6
44	სამგზავრო ტრანსპორტის ლოგისტიკა	5
45	საბაკალავრო ნაშრომი	10
თავისუფალი კომპონენტები		
45.1	საერთაშორისო ორგანიზაციები	3
45.2	ადამიანი და უსაფრთხოება	3
45.3	წარმატების სტრატეგია	3

² ** იკითხება გერმანულ ენაზე

45.4	სოციალური პროგრესი და ავტომობილი	3
45.5	კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)	3
43.6	მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია	3